ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2018 წლის ---- ---------- ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № ------

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ქუთაისის ქ. N27-ში მდებარე 127,08 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 05.21.36.007.03.500).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლისათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება ამ ქონების ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლისათვის სარგებლობაში გადაცემა;

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული უძრავი ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის
უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ 2018 წლის 06 ივნისის №707/02 (#17902/25) წერილით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 19 აპრილის NMES 8 18 00440444 წერილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ქუთაისის ქ. N27-ში მდებარე 127,08 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.36.007.03.500) ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლისათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, სადაც სწავლებას გადიან ამ სკოლის პირველი საფეხურის მოსწავლეები და ამ გარემოებების გათვალისწინებით, შემდგომში სკოლისათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მოთხოვნილია მითითებული არასაცხოვრებელი ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთ აღნიშნული ქონება საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას, შემდგომში ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლისათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქუთაისის ქ. N27-ში მდებარე 127,08 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.36.007.03.500) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკი საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლისათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:
ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე